სანოტარო აქტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

რეგისტრირებულია სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ საერთო რეესტრში №

ორიათას თხუთმეტი წლის ოცდაორი აპრილი

მე, ნოტარიუს იამზე ქუთათელაძე-იოსელიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. ქუთაისი ჯავახიშვილის ქ 26, მომმართა შპს „ზ.მ.“-ის დირექტორმა მამუკა ყრუაშვილმა (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებული 12.02.2015 წ, საინდენტიფიკაციო კოდი: № 212709434), რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად შპს „ზ.მ.“-ის დირექტორმა მამუკა ყრუაშვილმა (დაბ 10.09.1981 წელს, დაბადების ადგილი ქუთაისი, პირადი № 60001015125, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა № ა 1217879, რეგისტრირებული მისამართზე: ქუთაისი, ივ. ჯავახიშვილის I შეს №24 ბ.10) მომმართა.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, ეჭვის შეტანის საფუძველი მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში არ მაქვს. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე ნოტარიუსმა იამზე ქუთათელაძე-იოსელიანმა წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადათ მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორიათას თხუთმეტი წლის ოცდაორი აპრილი

მე, შპს „ზ.მ.“-ის დირექტორი მამუკა ყრუაშვილი (დაბ 10.09.1981 წელს, დაბადების ადგილი ქუთაისი, პირადი № 60001015125, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა № ა 1217879, რეგისტრირებული მისამართზე: ქუთაისი, ივ. ჯავახიშვილის I შეს №24 ბ.10) წინამდებარე მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ

მერაბ ჩაგიაშვილს (დაბ 12.02.1965 წელს, დაბადების ადგილი ქუთაისი, პირადი № 60002003088, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა № გ 1150743, რეგისტრირებული მისამართზე: ქუთაისი, თბილისის ქ. №13)

იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში – ქ. თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში; წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი, წარადგინოს განცხადებები, მიიღოს ნებისმიერი საბუთი (მოწმობები, ნებართვები, ცნობები და სხვა) ზემოხსენებული პირებიდან, ჩემი, როგორც შპს „ზ.მ.“-ის დირექტორის სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ სახის თანხმობას, რაც დაკავშირებულია სამშენებლო პროექტთან უძრავ ქონებაზე, მდებარე: თბილისი, დიდი დიღომიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალსა და საავადმყოფოების კომპლექსს შორის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.01.004.051), პროექტში ცვლილებების შეტანასთან და თანხმობის მიცემასთან პროექტში ცვლილებებთან დაკავშირებით, მერიის შესაბამის სამსახურთან პროექტის შეთანხმების უფლებით.

გააკეთოს განცხადებები ჩემი სახელით, შეაგროვოს ყველა საჭირო დოკუმენტი, მოაწეროს ხელი ჩემს ნაცვლად, შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც საჭირო გახდება ამ დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით და ძალაშია 2016 წლის 22 აპრილის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 10 (ათი) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟის და საქართველოს ნოტარიუსტა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ის 31-ე მუხლის შესაბამისად და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2(ორი) ლარი 39-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი: იამზე ქუთათელაძე-იოსელიანი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

02577975627115

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150386469

რეგისტრაციის თარიღი

22.04.2015 წ

ნოტარიუსი: იამზე ქუთათელაძე-იოსელიანი
მისამართი: ქ. ქუთაისი ჯავახიშვილის ქ # 26
ტელეფონი: 899 10-76-15

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18